ს.ს.ი.პ. მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის
მონიტორინგის ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N 2-112 29/12/2022 ქ. თბილისი

სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 52-ე, 53-ე და 61-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ო. შამუგიას 2022 წლის 29 დეკემბრის N12388/01 წერილის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 დეკემბრის N2-1258 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტების და მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 30 დეკემბრის N2-93 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია 2023 წლის პირველი იანვრიდან.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებული მხარისათვის გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებელის ხეივანი N64).

გიორგი მიშელაძე

თავმჯდომარე